საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1811

2016 წლის 9 სექტემბერი

ქ. თბილისი

შპს „ეკო კონსალტ საქართველოს“ ხე-ტყით უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

1. საქართველოს ტყის კოდექსის მე-5 მუხლის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში - შენაქოსა და ჯვარბოსელში „ეროზიების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში“ - პროექტის დროულად და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, შპს „ეკო კონსალტ საქართველოს“ (ს/კ: №404497442) ხე-ტყით უზრუნველსაყოფად, ახმეტის მუნიციპალიტეტმა განახორციელოს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის №19 კვარტალში 5 (ხუთი) $მ^3$ (ფიჭვის მრგვალი მორი (20 ცალი, 4 მ სიგრძის, დიამეტრი 20-25)) ხე-ტყის მოცულობის ტყეკაფების გამოყოფა.

2. ახმეტის მუნიციპალიტეტმა ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხე-ტყის გაცემა უზრუნველყოს „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**